ხელშეკრულება საქონლის
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №183

ქ. თბილისი 04 ივნისი 2014 წელი

ჩვენ, ერთის მხრივ, ქ. თბილისის საკრებულოს აპარატი, მდებარე: ქ. თბილისი, ლერმონტოვის №10 (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი უფროსის გიორგი ფიცხელაურის სახით, ხოლო მეორეს მხრივ, შპს „საჩუქარი 95“ (შემდგომში – მიმწოდებელი), მდებარე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №26, წარმოდგენილი დირექტორის სერგო გეგეჭკორის სახით, ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და სხვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგან, ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1.1 ხელშეკრულების საგანია: ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის ბიუჯეტის სახსრებით, ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის სტუმრების მიღებასთან დაკავშირებით საჩუქრის სახით გადასაცემი სუვენირის- 2 ცალი „რაჭული ბალთა“ სახელმწიფო შესყიდვა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.
1.2 ხელშეკრულების ობიექტია: ერთი ცალი „რაჭული ბალთის“ ღირებულებაა – 28 (ოცდარვა) ლარი.
1.3 კლასიფიკატორის კოდი: 18500000; 18530000.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 56 (ორმოცდათექვსმეტი), ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადისა და გადასახდელის, ასევე ყველა ხარჯის, რომელიც დაკავშირებულია საქონლის შესყიდვასთან) ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1. შესყიდვის ობიექტის თარიღია: ხელშეკრულების დადებიდან 2014 წლის 05 ივნისის ჩათვლით.
3.2 "მიმწოდებელი" ვალდებულია გადასცეს "შემსყიდველს" უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთი.
3.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, ლერმონტოვის №10.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტი, ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს "მიმწოდებელი".
4.3. "შემსყიდველი" ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს "მიმწოდებელს" საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონელის რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. "შემსყიდველი" ვალდებულია:
– მიიღოს მიწოდებული საქონელი.

– შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
– უკან დაუბრუნოს "მიმწოდებელს" მიწოდებული საქონელი, თუ მისი ხარისხი არ შეესაბამება სტანდარტებს და მოითხოვოს მისი თავიდან შესრულება.
– გადაუხადოს "მიმწოდებელს" შეთანხმებული ფასი;
5.2. "მიმწოდებელი" ვალდებულია:
– გადასცეს "შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი დადგენილ ვადებში;
– დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

6. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

6.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.
6.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
6.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო.
7.2.ანგარიშსწორების ვადა (გრაფიკი): საქონლის მიღების შემდეგ, აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) საბანკო დღის განმავლობაში.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა, რაზედაც უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელშიც უნდა იყოს მითითებული დამატებითი ვადები დარღვევის აღმოსაფხვრელად, ხოლო თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება/შეტყობინება.
8.3 თუ მიმწოდებელი გაფრთხილების/შეტყობინების შემდეგაც არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და დააკისროს მიმწოდებელს ჯარიმა ხელშეკრულების საერთო/ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.
8.4 ხელშეკრულების გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.5 ხელშეკრულების გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

8.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ს.
8.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრის ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ფორს–მაჟორული სიტუაციები

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების ინსპექტირების ირობები

10.1. შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
10.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.
10.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს "შემსყიდველის" მხრიდან განხორციელებს აპარატის საფინანსო-ეკონომიკური და სამეურნეო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი (დ.გამცემლიძე).

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით

შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
11.2 თუ მხარეები ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს უთანხმოების წარმოშობიდან 30 დღის უშედეგოდ გასვლის შემდგომ დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართონ საქართველოს საერთო სასამართლოს.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან 2014 წლის 21 ივლისის ჩათვლით.
12.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე:
ა) მხარეთა შეთანხმებით.
ბ) ამ ხელშეკრულებით დადგენილი მოთხოვნების "მხარეთა" მიერ შეუსრულებლობის.
გ) ერთ-ერთი მხარის მიერ ცალმხრივად, მეორე მხარისათვის ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე.
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13. სხვა პირობები

13.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
13.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
13.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
13.4 ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
13.5 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, ხელშეკრულების მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ქ. თბილისის საკრებულოს აპარატი	შპს „საჩუქრები 95“
მის: ქ. თბილისი, ლერმონტოვის №10	მის: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ№26
სს „ლიბერთი ბანკის“ ცენტრ/ფილ.	ს.ს „საქართველოს ბანკი“
ბ/კოდი: LBRTGE22	ბ/კოდი: BAGAGE22
ა/ა GE 95 LB 012 515 210 162 7000	ა/ა GE 84 BG 0000 0003 4623 7500
ს/კ 204 495 055	ს/კ 203 826 654
გიორგი ფიცხელაური	სერგო გეგეჭკორი